საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

სამშაბათი, აგვისტოს 30
1921 წ.
№ 8
ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბესარიონი, შვილები ვლადიმერ, ნიკოლოზ, ირაკლი, მარიამ, თამარ და შალვა ცაგურიები, ძმა მიხეილ ნიკურაძე მეუღლით ლიზათი შვილებითურთ და დები—დარია და თამარ ნებიერიძისა ქმრით მღ. არჩილით შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ აგვისტოს 27-ს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და უძვირფასესი

ნინა თომას ასული ცაგურია

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება აგვისტოს 30-ს იტრიის ეკლესიაში დილის 9 საათზე. 1277

## ტრიბუნიდან

6.

**ამხანაგ მუშების საყურადღებოთ**

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაბეჭდილია ორი წერილი ამხ. ასოთამწყობთა. ეხებიან მეჭდვიტი საქმის პროფკავშირის წევრთა საერთო კრებას. ამხ. დ. მ—შვილი უკმაყოფილოა კრებით, იმას მიუხედავად, რომ კრების პრეზიდიუმში (თ ვმჯ. ამხანაგად) არჩეული იყო მემარცხენე სოც.-ფედ., ხოლო დელეგატად გაყვანილ იქმნა ექვსი თუ შვიდი მემარცხენე სოც.-ფედ. მუშები. ამხ. ბერიკაცაშვილს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აცხადებს, რომ ის ეკუთვნის სოც.-ფედ. პარტიის მემარცხენე ფრთას.

მკითხველი ხედავს, რომ მწყობრი, ნათელი მუშაობის მაგივრად ნამდვილი ქაოსია გამეფებული მუშათა შორის. და ეს მაშინ, როცა დაიწყო კომპანია ყველა დარგის მუშებში, საერთო ყრილობის მოსაწვევად. ერთი ალაგას მიდის, მეორე ბალთას, ბევრი იცის ვინ ვის დაუკავშირდეს, ვისთან მივიდეს, რისთვის მივიდეს, როგორია პოზიცია დაიჭიროს, რა სთქვას, როდის და სხვა.

ამ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. კრებებზე ხშირად გამოდიან ორატორები და მქადაგები, გარკვევით ვერ გადაშლიან თავიანთ პოლიტიკურ სახეს ლაპარაკობენ სრულიად გაუგებრად და ხშირად ისიც არ იცი ვინ ლაპარაკობს, ვისი სახელით, რა უნდა და ვისთან არის. ის არის მხოლოდ გამორკვეული, რომ ბრუნდი, მართალი, კარგი თუ ცუდი ხშირად ერთად იყრიან თავს და უპირისპირდებიან ბოლშევიკებს. ეს ხშირად ხდება სტიქიურად, წინასწარ მოულაპარაკებლად, პროგრამების გადაუმუშავებლად.

პარასკევის კრებას ორი ძალა დაეპატრონა—ბოლშევიკები და მენშევიკები. მენშევიკების სიაში მოყოლია ჩვენი ამხანაგი მემარცხენენი, აგრეთვე, უპარტიონი. როგორ და რა პირობებით—ეს სრულიად გაუგებარია თვით მონაწილეთათვისაც. ასეთი შემთხვევა ერთი და ორი არ არის, არც მხოლოდ პარასკევის კრებაზე ჰქონია მას ადგილი. ასე ხდება თითქმის ყველა კრებაზე, მრავალს უწყებაში.

აღსანიშნავია, რომ მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაციამ იცის არა მარტო ბოლშევიკები, მემარცხენე სოც.-ფედერალისტები, არამედ „სხივლები“ და ესერები. ტფილისის მუშებში ესერებს არ აქვთ ორგანიზაციული მუშაობა, მაგრამ „სხივლებს“ ხომ მუშების პარტიად მიაჩნიათ თავი და ჩვენ გვინდა გავიგოთ თუ, რად არ სჩანან „სხივლები“-ს დამოუკიდებლობა დამოუკიდებელს პოლიტიკით.

ჩვენ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია პოლიტიკურ პარტიებთან ბლოკის სისტემა უმახლობელეს პრაქტიკულ მიზნების მისაღწევად, არჩევნების დროს მაქსიმუმის მიღება დელეგატების სახით, მაგრამ ბლოკს მაინც წინ უნდა უსწრებდეს სრულიად გარკვეული პოლიტიკური ხაზი, პლატფორმა, დეკლარაცია, თვალსაზრისის გამოჩენება, რის შემდეგაც შეიძლება ბლოკის ხასიათის და მიმართულების შეცვლაც. ერთი სიტყვით წინასწარი გამოსვლები უნდა იყოს აშკარა, პოლიტიკური ხასიათის, ძალთა გარკვევის, მხოლოდ შემდეგ ბლოკი და ბლოკიც სავსებით ტეხნიკური და პასუხისმგებელ ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ დამტკიცებული. სხვა წესი პოლიტიკურს მუშაობაში კატეგორიულად უარსაყოფია.

ისტორიულ ძალთა განწყობილების დღევანდელს პირობებში მენშევიკებთან ბლოკის სისტემა ყოვლად მიუღებელია. პროფკავშირებში მენშევიკებმა შტრეიკბრეხერების და ყვითელ მუშების პოლიტიკა ზედმიწევნით განავითარეს და ყოველ ამხანაგს კარგად მოეხსენება ამ მხრივ ჩვენი აშკარა და მტკიცე ანტიმენშევიკური პოლიტიკა, მენშევიკების დროს პროფკავშირების მრავალს კრებებზე. რომელი ნამდვილი მუშა უნდა გაჰყვეს მენშევიკებს, რომელთა პოლიტიკაც არსებითად არ განირჩეოდა რუსეთში ზუბატოვ-გაპონის პოლიტიკიდან? მუშათა საპროფესიო ინტერესები მენშევიკებმა სამი წლის განმავლობაში საკმაოდ გასთელეს, ეხლა რომ კიდევ ხელი შეუწყოთ ანტიმუშური პოლიტიკის რესტავრაციას. ან კიდევ, პარლამენტარისტული სისტემა ხომ არ მიგვაჩნია საბჭოების სისტემაზე უმჯობესად მუშებისათვის, რომ პარლამენტარისტ-მენშევიკებს დაუკავშირდეთ?

რა გვაკავშირებს მენშევიზმთან? ეროვნულს საკითხში მენშევიკები უარესი თუ არა ბოლშევიკებზე უკეთესნი სრულიად არ არიან. მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობას ჯვარი დაუსვეს პარიზში, აგრარულს საკითხში მენშევიკების პოლიტიკამ საქართველოს უმეტეს ნაწილში ხელუხლებლად დასტოვა საქართველოს მემამულეები (მაგ. იმერეთში), სპეკულიაციის დარგში მენშევიკური ლიბერალიზმი, არავისთვის არ თხოულობს განმარტებას. ერთი სიტყვით არა თუ შეუძლებელია პოლიტიკური ბლოკი მენშევიზმთან, ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს მუშათა ფართო მასსაში მენშევიზმის სრული გადაშენება, როგორც ისეთი პარტიის, რომელსაც არც ეროვნული, არც სოციალური, არც პროფესიონული თანამედროვე მოტივი აღარ გააჩნია.

იყო დრო, როდესაც მენშევიკებმა დიდი დადებითი როლი ითამაშეს ცხოვრებაში. ეს იყო თვითმპყრობელობის დრო. მას შემდეგ მათი ისტორია არ-ქივს ჩაბარდა, დღეს მენშევიზმი არსებითად კონტრ-რევოლიუციონური მოვლენაა, ანტი-მუშური, ორპოლული, ოპორტუნისტული.

მენშევიზმი დღეს ცოცხლობს არა ფეხიზელი თანამედროვე პოლიტიკით, არამედ წარსულის დიდებით. მაგრამ ვინაიდან წარსულის დიდებით სადღეისო მოქმედება შეუძლებელია, ამიტომ ჩვენმა მუშებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მენშევიკებთან ერთად სვლა რეაქციის საქმის ერთად კეთებაა და ამ დამღუპველ მოვლენას ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ვებრძოლოთ.

თედო ღლონტი.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხსენებელი ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხსენებელი ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხსენებელი ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრან ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## ორი ნაკადული

ისტორიამ ორგვარი სახის ნაციონალიზმი იცის. საერთაშორისო ცხოვრების ვითარებამ შექმნა ნაციონალიზმი მპყრობელ სახელმწიფოებისა და დამონებულ ერების. პირველს ნაციონალიზმს სარჩულად უდევს ბატონობა ერთი ერისა მეორე ერზე; იმპერიალისტური პოლიტიკა—შინაარსია მპყრობელი ნაციონალიზმისა. ეს ნაციონალიზმი რეაქციონურია და დასაგმობი უბრალო ადამიანური მოსაზრებითაც.

სხვა გვარია დაჩაგრული ერის ნაციონალიზმი. ეს ნაციონალიზმი პროგრესიულია და კეთილშობილური მიზნებით იკვებება. მას საფუძვლად თავისუფლებისადმი ლტოლვა უდევს, ერის განთავისუფლება მონობისაგან, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული ბრძოლის მოსპობა და ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცება, უფლებრივი გათანასწორება დიდი მორალური მოთხოვნილებაა. ამიტომ დაჩაგრულ ერთა ნაციონალიზმი სოციალისტური მოძრაობის შინაარსია. ამ ნიადაგზე ხდება სოციალიზმისა და ნაციონალიზმის შეუღლება იმპერიალიზმის მოსასპობად.

წარსული ცხოვრება სავსეა ამ ორი ნაციონალიზმის ბრძოლის მომენტებით.

უნდა იქმნეს აღნიშნული, რომ დღევანდელს საერთაშორისო ცხოვრებას რამოდენიმე დიდი პოლიტიკური სხეული ქმნიან და აძლევენ მსოფლიო პოლიტიკას გეზსა და შინაარს. აქტიური პოლიტიკა მსოფლიოში დიდ სახელმწიფოთა კუთვნილებაა და მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოწესრიგდება მსოფლიო.

იმპერიალისტური პოლიტიკის ბატონობამ პატარა ერები გამოდევნა საერთაშორისო ოჯახიდან და თავის დიქტატურას დაუმორჩილა.

„დრო პატარა სამეფოებისა და პატარა შეჯიბრებების წავიდა. მომავალი დიდ სახელმწიფოებს ეკუთვნით“ ამბობდა ჩემბერლენი 1903 წ. და მართლაც ეს პატარა სამეფოები დიდ-ტანიან სახელმწიფოთა ექსპლოატაციის ობიექტი შეიქმნენ.

ასეთია სინამდვილე. პატარა ერების არსებობას თანამედროვე ხანაში ყოველი საფრთხე მოელის. ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებმა ყოველ მხრივ დაიმორჩილეს ჩამორჩენილი ერები. იმპერიალიზმის ბატონობის ბრჭყალებში ერები ყოველ მხრივ იჩაგრება, ნიავდება.

კაპიტალისტურმა მეურნეობამ ორი გარკვეული სოციალური კლასი მოგვცა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. კაპიტალისტური კულტურა ამ ორ კლასთა შორის ბრძოლით ხასიათდება. პროლეტარიატი და მთელი მშრომელი დემოკრატია ის ძალაა, რომელიც იძულებულია მისცეს თავისი შრომის დიდი უმეტესი ნაწილი მოწინააღმდეგე კლასს და ამით შექმნას ის უპირატესობანი, რომელიც შეადგენს ბურჟუაზიის არსებობის საფუძველს. ბურჟუაზიამ ასეთი მდგომარეობა სისხლით მოიპოვა და დარაჯად კლასიურ საფუძვლებზედ აგებული სახელმწიფო დაუყენა.

მაგრამ ბურჟუაზიულ მეურნეობის არსებობა ამორალიზმის პრინციპებზედ არის აგებული და მას ადამიანისაგან ადამიანის, კლასისაგან კლასის ჩაგვრა და ყვლეფა უდევს საფუძვლად. ამ ამორალიზმას წინააღმდეგ პროლეტარიატმა ასწია მკვეთრი მახვილი და მიჰმართა კაპიტალიზმის არსებობის გასანადგურებლად. ის დიდი რევოლიუციები, რომელნიც მოხდა წარსულში ამ დიად მიზნებს ისახავდა მიზნად. განადგურება კაპიტალიზმისა და შექმნა ახალი სამართლიანი სოციალური ურთიერთობისა—აი თანამედროვე რევოლიუციის ლეიტმოტივი.

მაგრამ შემცდარი იქნება ვიფიქროთ, რომ კაპიტალიზმმა მხოლოდ კლასიური ჩაგვრა იცის. ეროვნული ჩაგვრა კაპიტალიზმის მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. კაპიტალიზმის თანამედროვე ვითარებამ, ფინანსიურმა კაპიტალმა მოგვცა ახალი სახის ეროვნული ჩაგვა. კოლონიალური პოლიტიკა და ჩამორჩენილ ერების დამონება,—კაპიტალიზმის არსებობის საფუძველს წარმოადგენს. ფინანსიური კაპიტალს უკოლონიოდ არსებობა არ შეუძლია. ჩამორჩენილი ქვეყნები თანამედროვე კაპიტალიზმის არსებობის მეორე წყაროდ ხდება. ჩამორჩენილი მხარეები აწვდიან ყოველგვარ ნედლ მასალას ამ მხრივ დამშეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, ასაღებენ მათი მრეწველობის პროდუქტებს და უშიშვლო გასავალს აძლევენ მეტროპოლიაში უმოქმედოთ დარჩენილ კაპიტალს. ამგვარად ჩამორჩენილი მხარეები ყოველ მხრივ იყვლიფება კაპიტალისტურ მაგნატებისაგან. თუ ჩვენ დავაკვირდებით იმ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც არის განმტკიცებული მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის, ნათელი გახდება, რომ ასეთმა დამოკიდებულებამ კაპიტალისტებს მისცა ახალი შემოსავლის წყარო. წარმოების პროცესიდან ალებულ ზედმეტ დივიდენდებთან ერთად კაპიტალისტებს ხელში გროვდება ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის პროცესიდან შემოსული ზედმეტი მოგება.

ამ გვარად იმპერიალიზმის ეპოქამ ჩვენ მოგვცა ახალი სახის მონობა და ჩაგვრა, რომელიც ჩამორჩენილ ქვეყნების ყვლეფაში გამოიხატა.

1914 წ. ექვს დიდ კაპიტალისტურს სახელმწიფოს 437 მილ. მცხოვრებთ ეპყრათ კოლონიები და ნახევრად კოლონიები მილიარდი მცხოვრებით.

ეკონომიურად, ფინანსიურად და პოლიტიკურად ეს ერები შეიქმნენ დიდი სახელმწიფოების ექსპლოატაციის ობიექტი.

საერთაშორისო ომმა ახალი მონობა განუმზადა. „ერთა ლიგა“, რომელიც გაბატონებულ სახელმწიფოთა ნებისყოფის გამომხატველი შეიქმნა, შეუდგა ამ მონობის გარკვევას, იურიდიულ სტატუტებში ჩამოყალიბებას არსებით „ერთა ლიგა“ და ვერსალის მთელი კონფერენცია ჩამორჩენილ ერების გადამყოფი ორგანო იყო დიდ სახელმწიფოთა შორის.

თუ კაპიტალმა შექმნა მსოფლიოში ორი დიდი სოციალური კლასი, მასმა უმაღლესმა განვითარებამ იმპერიალიზმის სახით მოგვცა აგრეთვე ორგვარი ტიპის ერი: ერი მპყრობელი და ერი დამონებული.

დღევანდელ საერთაშორისო მოძრაობას ამ ერთა თავისუფლებისადმი ლტოლვაც ახასიათებს. დიდი სოციალური რევოლიუციის რკალში ეროვნული მომენტი შევიდა, როგორც ერთი მომამოძრავებელი ელემენტი. დღეს ყველასათვის გარკვეულია მ. ბაკუნინის სიტყვები: „საერთაშორისო მშვიდობიანობა შეუძლებელია სანამ არსებობენ თანამედროვე ცენტრალისტურად მოწყობილი სახელმწიფოები“, რომ საერთო თავისუფლებისათვის აუცილებელია ამ დიდტანიან დესპოტიების დაშლა და მის ნანგრევებზე თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირების აღდგენა.

მაგრამ ყველაზე უფრო ეს დებულება ნათელი და მისაღებია იმ ერებისათვის, რომელთაც თვითონ განიცადეს გიგანტების ბატონობის მთელი სიმკაცრე.

საერთაშორისო რევოლიუციის ორი ძალა ასულდგმულებს, სოციალური და ეროვნული, მშრომელი ხალხი და დაჩაგრული ერები.

ჩვენა გვაქვს ორი ნაკადული,—ამბობდა ზინოვიევი, ერთი ძლიერ ჩქარი და ძლევა მოსილი,—პროლეტარიატის, მეორე შედარებით სუსტი, ხშირად მიხვეულ-მოხვეული გზით მავალი,—ეს არის—მოძრაობა დაჩაგრულ ნაციებისაო.

პატარა და დაჩაგრულ ერთა სრული თავისუფლება, მათი სოციალური და კულტურული აღორძინება შეუძლებელია

სოციალიზმის გარეშე, კომუნიზმი სპობს ყოველგვარ ჩაგვრას და თავისუფალ სარბიელს აძლევს ყველას სოციალური შემოქმედებისათვის.

დაჩაგრულ ერთა ბედი და მომავალი თანამედროვე სოციალისტური რევოლიუციის ვითარებაზე არის დამოკიდებული. დიდი რევოლიუცია ახლიან გზას უხსნის და უკავშირებს ჩამორჩენილ ერებს თავისუფალი ცხოვრებისათვის, ვინაიდან იმპერიალიზმის სიკვდილი ერთა თავისუფლებას ნიშნავს.

სიმ. ხუნდაძე.

## ყრილობა და ჩვენი ახალგაზრდობა

თანახმად დრ. მთ. კომიტეტის დადგენილებისა, ამ მოკლე ხანში ტფილისში შესდგება ჩვენი პარტიის ყრილობა.

თანამედროვე მომენტის სირთულე და საქართველოს პრობლემის გადამწყვეტი ფაქტორები ერთი მხრით და პარტიის საშინაო მდგომარეობა მეორე მხრით, მეტად რთულ პირობებს ქმნის ყრილობისათვის და მოითხოვს მისგან გარკვეულ პასუხს მთელ რიგ პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებზე.

ამიტომაც არის რომ ყრილობის შინაარსი მეტად ფართო და მრავალმხრივია.

ასეთ პირობებში საჭიროა მთელი პარტიის ძალები იღებდეს მონაწილეობას ყრილობაზე და ყველა ორგანიზაციას თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს.

ჩვენ, სრულიად სამართლიანად, მოველოდით, რომ ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევდა დრ. მთ. კომიტეტი და მთელ ძალებს ყრილობის გარშემო მოკრებდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ.

დრ. მთ. კომიტეტის დადგენილებით ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება.

ასეთი დადგენილება ჩვენ სრულიად უსამართლობად მიგვაჩნია. მართალია წესდება, რომლის მიხედვითაც მოწვეულია ყრილობა არ იცნობს ამ ორგანიზაციებს და მაშასადამე ფორმალურად მათ უფლებაც რა აქვთ მოითხოვონ გადამწყვეტი ხმა, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნისა და პარტიის ბედი უნდა იქნეს გადაჭრილი, არ შეიძლება მარტო წესდების მუხლებს მივსდიოთ.

ჩვენ არას ვიტყვით ქალთა და პროფესიულ დარგების ორგანიზაციების შესახებ, მაგრამ რაც შეეხება ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ყოვლად შეუძლებელია იგი მხოლოდ სათათბირო ხმით სარგებლობდეს.

ახალგაზრდათა ორგანიზაცია თავის ორგანიზაციის სტრუქტურით სრულიად განირჩევა სხვა ორგანიზაციებიდან. ამ ორგანიზაციაში თავს იყრის მოწაფეები, სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები, აქვს თავის წესდება, იწვევს ახალგაზრდათა კონფერენციებს, აქვს თავის კომიტეტი და სხვა.

ამასთანავე ყოველთვის, ყოველ კონფერენციაზე ჩვენ, ახალგაზრდებს ჩვენი წარმომადგენელი გვყავდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან კომიტეტი და ან თვით კონფერენცია ჩვენი დელეგატების დამტკიცების წინააღმდეგი ყოფილიყოს.

უკანასკნელ კონფერენციაზეც კი, სადაც დიდი დავა იყო მანდატების დამტკიცების გარშემო, ახალგაზრდათა წარმომადგენლების მანდატები კონფერენციამ ერთ ხმად დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდათა წარმომადგენლების უმრავლესობის პოზიცია სრულიად არ ეთანხმებოდა კონფერენციის წევრთა უმრავლესობის პოზიციას.

ასე და ამნაირად, ჩვენ ყოველთვის ვსარგებლობდით გადამწყვეტი ხმით კონფერენციაზე და დღეს, როდესაც ყრილობაზე უდიდესი საპირბოროტო საკითხებია დასმული, ჩვენ არ შეგვიძლია სათათბირო ხმით დავკმაყოფილდეთ.

ფორმალური და იურიდიული მხარე ყოველთვის ფაქტიური მდგომარეობის შესაბამისი უნდა იყოს და თუ დღევანდელი წესდება ახალგაზრდათა ორგანიზაციას არ სცნობს, ეს წესდების დეფექტია და არა ახალგაზრდათა ორგანიზაციის დანაშაულობა.

რომ წესდებას ბევრი დეფექტი აქვს, ამას დრ. მთ. კომიტეტიც ადიარებს, როდესაც ყრილობის წესრიგში „წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლას" სვამს. მაშასადამე აქედანვე ერთი დებულება აშკარაა, ორგანიზაციები, რომელნიც არსებობენ და წესდება მათ არ ცნობს, ისინი წესდებაში შეტანილ უნდა იქნენ, მაგრამ ეხლა ამ ორგანიზაციებს, რომ საშუალება მოუსპოთ ყრილობის დღემდე წარმომადგენლობის და ყრილობამ დახახრულს, წესდების შესწორების შემდეგ, მისცეთ უფლება წარმომადგენლობისა, მეტის-მეტი ფორმალობა იქნება.

ამხანაგებო, ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა შეუდგეთ ენერგიულ მუშაობას ყრილობისათვის. დრ. მთ. კომიტეტში ხელახლა უნდა დავსვათ საკითხი ჩვენი უფლებების შესახებ და თუ უარყოფითი პასუხი მივიღეთ, მაშინ თვით ყრილობაზე უნდა გადავიტანოთ საკითხი. ახალგაზრდობა გულგრილად ვერ შეხვდება დღევანდელ ყრილობას და იგი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში. მაშ ვემზადოთ ყრილობისათვის.

სერ. ამაღლობელი.

## ქვეყნის ბედი, ანუ სატრფოს ქალი ქართულ პოეზიაში

**შემკვნეს შავბედს ქვეყნისასა ქვეყნისათვის ანატირი.**

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეწადა სხვებთან ერთად მამაპაპის დაკარგული სამოთხე კვლავ მოეპოვებინა, მაგრამ მეთი ოცნება ძალმა შეჰმუსრა, რასაც ეტრფოდნენ, შავბედმა მახვილი ახალა. ეხლა დაშთენოდა, საკანში პატიმრობის დროს, თუ ძის გარეშე, მღერად ოხვრა და ლხინად გლოვა სატრფოსათვის.

რა იყო სატრფო იგი? დრო და ცხოვრება ერისა, მტკბარად ნაგემი, როცა ერი თავისუფალი იშვებდა და იხარებდა, როცა ერის გონება და გრძნობა ამაღორძინის მადლით ჰბრწყინავდა, გაფურჩქვნილი ერთ კეთილ სურნელოვან მრავალ ფერ ყვავილოვან თაიგულად, თუმცა ის დრო სიხმარივით ჩქარა გამქრალიყო, პოეტი იგივ იყო მარად, რადგანაც არ დაედევდა ჟამთა ცვლას. მისი ტრფობის საყვარელის მიზეზით მოშორებოდა მოძმეს ცხოვრების ძალას, მაგრამ სული კიდევ ედგა გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილსა. ქვრივისთვის გაეძლო იმედით, რომელსაც ფარად ეხმოდა. სატრფო ელტოდა, გაურბოდა. ძისთვის ერთისათვის თავი ეძლევნა, რათა მტკიცედ და მყარად დაეჭირნებოდა. თუმცა რაყოფი ისე, ვით პოეტი, მტკიცე იყო, მაგრამ საბრალო იყო მაინც, რადგანაც დამაშვრალ-მომცდარიყო. სადაც უნდა ყოფილიყო პოეტი მაინც სატრფოსთან იყო მარად, იგი იყო მნათობი და მასთან იყო პოეტის გული. სადაც უნდა ყოფილიყო, ვისთვისაც უნდა ეჭვრიტნა, ის უდგა მაინც თვალ წინ. პყრობილი პოეტის სურვილი და ხვედრი დაუზავებელი იყო. ტრფობის გრძნობის ლიდად მოთქმა უყვარდა. სატრფოსაგან შორს ბუნდი ჰკაეიდა, რაკი ველარ სჭვრეტდა მის მშვენებას. დაჰლეოდა ცნობა მოთმინებისაგან და დასდგომოდა გოდებას; როცა სატრფო იყო მსგავსი ბადრი მთვარისა და პოეტი სჭვრეტდა, მწარე ქმუნვის მაგიერ სიხარულს ჰგრძნობდა. ეხლა კი ბედს გადაეტყორცნა შორეულ მხარეს, რის გამო თმენაში იყო. სატრფო უწინ ეტყოდა, შენი ვარი ვარ და გეტრფი, მაგრამ პოეტი ეხლა თავის საუბედუროდ და შესაზარავად შორქვეყნელად გადაჰქცეოდა. ჰსუროდა საროს (სატრფოს) შემოჰხვეოდა და ისე ეხარა, მაგრამ ბედმა არ არგუნა. ამის გამო მოიწვევდა მარიხს, რათა მისთვის გული გაეპო და დაევადებინა, რადგანაც უიმისოდ თავი დღისითაც კი ბნელაში ეგონა.

წუთის სოფლის ბრუნვამ უღალატა პოეტს. გულს რომ ებუდა, ის ზრუნვა წაუხდა. მის გამო აშლილი წყლული სატრფოლი გაჰხდომოდა, ბედმწირი გამხდარიყო და დაჰმუნებულიყო. პირი ფოთლის უხშირესი შემოჰრტყმოდა ნათელი მზე, რომელიც შარავანდედით მოეფინებოდა, ჩასულიყო, ამოჰფარებოდა წყვდიად და ბნელ ღრუბელს, ავდრის საგუბელსა. შებრყვილულ გულს გასჩენოდა წყლული, რომელსაც ცრემლიდ მოსამანი გაჰხდომოდა. სატრფო ელტოდა დღებნელსა, რომელიც ეხლა ბნელ, ყოვლად თალხ სადგურში ეგდო. საბრალო იყო იმ სადგურის მკვიდრი, სატრფოს დამთმობი!

პოეტი იქადდა, პატრონი ვჰყევარ სატრფოს. მის წილ ვიბრძვიო. ეხლა რა იყო? ყველას გაჰქრობოდა ერთგულების ნაპერწკალი. ჭირში ჩაფლულიყო პოეტი, ქმუნვა და თმობა დაჰმართნოდა ურვისაგან გულშემოყრილსა, რათგანაც ვისაც გული დაუმონა თავგანწირულმა, ის დაპატიმრებულიყო. ამის გამო გართულებოდა პოეტს მწუხარება და წყლული განახლებოდა. მრავალი გუშაგი მცველი ასჩენოდა, რათა ნებისყოფა წაერთმიათ. თუმც ხვალ სხვა გუშაგი მოვიდოდა, მის მაგიერ მორიგედ, გველი მაინც დაჰშთებოდა გველად. პოეტი ჰპოშურნეობდა რაყიფსა, რომელიც მისი სატრფოს ახლოს იყო. წყვდიადსა დაბმისაგან, გული დაკოდილი ჰქონდა, რადგანაც რაყიფი ლახვარ ალპურვილი იყო და ჰსუროდა მისი გულის მოსრვა. შავბედს გაეწირა და განეშორებინა შვებისაგან, თავს არ იგლოვდა ესრეთ პყრობილი, გარნა სასჯელს სთხოვდა ზეცასა. სიკვდილი არაფრად მიაჩნდა. მკვდარი მისგან იყო, რომ თავი მოეჭრა; ეხლა სულ ერთი იყო, ლეშს სადაც უნდა გდებულიყო. სტიროდა მას, რომ ჰშორდებოდა თვალთ დამტირესა, თორემ ტანჯვა და ჭირი საშიში არ უჩანდა, რადგანაც სიცოცხლე მისთვის მიეძღვნა სხვებთან ერთად თავგანწირულსა. თუმცა მრისხანე ბედმა შორეულით გასტყორცნა და შორს იმყოფებოდა, პყრობილს ერთგულება გულთ შეხორცებული ჰქონდა. დაუდგრომელმა ბედმა მოაშორა მოყვასთ, ვისთანაც იშვებდა, თორემ გზობა და პყრობა არ აღონებდა. სწყევლიდა იმ დროს, როცა სხვებთან ერთად სამკვიდრო დაჰკარგა, როცა ხელ მყოფელმა წუთისოფელმა სძლია და შური იძია; სწყევლიდა მათ, ვინც იყო სიტყვა ლაქათი, ცხოვრებით ცუდი, გულმრუდე, პირბნელი, ქაჯურად მქცეველი, ჰამა-სმა არეული, დიდი და მცირე მგლურად გამოჯელი, მოყვასის გულის მტრულად მომწყლველი, კაცის მკილავი, ლიზღი, ავი და ეშმაკის კერძი. ასეთი ხალხის მახეში გაება და მის გამო ჭირთაგან შვება აღარ ჰქონდა. მათ უღალატეს, ვისაც ყოველი პირნაშული დაეღუპა და სავანე უდაბურად გადაექცია.

პოეტს ეჩვენებოდა წარსულ ნუგეშთა სახე, რომელიც ოდესმე სიცოცხლეს ნაზად უტკბობდა, რომელიც ბედს უწყალოდ დაეთრგუნა. შესთხოვდა ოცნებას, ძველნი ხილვანი კვლავ მიეცა, მასთანვე ერთად ძველნი ცრემლნიც, ძველნი ოხვრანიც. წარსული სიცოცხლის ნიავს კვლავ დაებერა და მისი და მაშვრალი სულისთვის სიტკბო განეახლებინა. შესთხოვდა, არ მოჰშორებოდა და სიხარული განეგრძო, ეგებ მარტოოდენ ხილვებით მაინც დაეტკბო წყლული. დაუნდობელმა წუთისოფელმა დაუწვა და მლიქვნელის ენით დაიმონა და დაიპყრო მისი სალი გული. ტყვედ მისცა ძნელ ჭირსა და გადაჰკარგა. ეხლა ცრემლი და დაჰშთენოდა და ჩივილად, რაიც ვერავისთვის შეესმინა. ბედკრულის ჩაგვრა დაეთმინა მხოლოდ იმისთვის, რომ სხვას მინდობოდა. ის ბნელი, სადაც იმყოფებოდა, სამარის უარესი იყო, სევდით დალახვრული, გულ დასერილი და მცირეოდენადაც გაუკითხველი ვაებაში ჩავარდნილიყო და ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ერჩია.

პეტრე მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

# ახალი ამბები

— **ქვანახშირის ამოღება.** ტყვიბულის მაღაროებში 1 აგვისტოდან 15-მდე ამოღებულია 175,630 ფუთი ქვანახშირი.

— **ინსტრუქტორები ხამკითხველოთათვის.** ამ დღეებში სრულდება ლექციების კითხვა სამკითხველოთა ინსტრუქტორების კურსებზე. ორი კვირის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ კურს დაასრულებს 50 ინსტრუქტორი.

— **ხავადმყოფო კასა.** ივლისში ცენტრალურ ამბულატორიის კასაში გამოცხადდა 1.560 ავადმყოფი.

— **ხაქონელი ხაქართველოსთვის.** იტალიის წარმომადგენელმა ტფილისში მიიღო ცნობა კონსტანტინოპოლიდან, რომ იქიდან გამოვიდენ გემები „პარსეთი" და „შეფილდი", დატვირთულნი სამოცი ათასი ფუთი საქონლით, უმთავრესად შაქრით და ფქვილით.

— **ყაჩაღის მოკვლა.** საგურამოს რაიონში საგანგებო კომისიის რაზმმა მოჰკლა ცნობილი ყაჩაღი სოფ. დავათის მცხოვრები გაბო ვარდოშვილი, რომელიც, მრავალი წლის განმავლობაში ყაჩაღობდა დუშეთის მაზრაში და რომელიც როგორც ეჭვი ჰქონდათ, ერთი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

— **მატარებლის გადავარდნა.** 23 აგვისტოს დღის 1 საათზე დიდი წვიმების დროს გამოსული სამგზავრო მატარებელი № 3, მე-80 ვერსზე დამარცხდა. ლიანდაგიდან გადავარდა 8 ვაგონი, გზა 40 საჟენზე გაფუჭებულია. მგზავრთა უბედურობა არ მომხდარა. მოძრაობა აღდგენილი იქმნა 20 საათის განმავლობაში.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, სამშაბათს 30 აგვისტოს, პარტიის ცენტრალურ ბიუროში შესდგება კრება ბეჭდვითი საქმის სოციალისტ-ფედერალისტ მუშებისა. გასარჩევია სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშათა ყრილობასთან დაკავშირებული კითხვები. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. კრება დაიწყება საღამოს 6 საათზე.

# უცხოეთი

**მიწის ძვრა.**

პეკინიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ უკანასკნელ მიწის ძვრის დროს, პროვინციებში (ჩინეთში) დაიღუპა 200,000 კაცი. 75 კვ. მილის სივრცეზე სახლები დანგრეულია.

**იარაღდებიან.**

ბრიტანეთის სამირდაროს ცნობით, საერთო დირებულება ინგლისის ახალი სამხედრო გემებისა, მათ რიცხვში დრედნოუტების, მიაღწევს 200 მილ. გირვ. სტერლინგს. 1925 წლისათვის, იაპონიას ექნება 8 ახალი დრედნოუტი. ამასთან აშენებული სხვა 8 ხაზიანი ახალი გემებისა უკვე გადადებულია. ამ დროისათვის ამერიკას ექნება 12 ზე-დრედნოუტი, თითო 40.000 ტონზე მეტი; გარდა ამისა 4 „ბრონენოსეცი".

**კომუნისტების დევნა.**

რუმინიის მთავრობამ გამოაცხადა სოციალისტური და კომუნისტური პარტიები რუმინიაში არა ლეგალურად, რომ ამით გაამართლონ საერთო ზომები, რომელნიც მიმართულია საერთოდ მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ. პროფესიონალური ორგანიზაციებიც რუმინიაში დათხოვნილია. კომუნისტების დატუსაღებას თან სდევს საშინელი სიმკაცრე.

**კარპატის მხარეში** უკანასკნელ ხანებში ხდება მრავალრიცხოვანი დატუსაღება კომუნისტებისა.

**ბელგრადის პოლიციამ** დაატუსაღა 25 კომუნისტი, იუგო-სლავიის პარლამენტის დეპუტატი.

**იუგო-ხლავიის კომუნისტურმა პარ**ტიამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს, რომელნიც [illegible] სასტიკი დევნა და ძალდატანება, კომუნისტები და მუშები რომ [illegible] იუგო-სლავიის [illegible] ბა თავდადებით [illegible] მუნისტურ [illegible] კლულ იქმნას სამხრეთ-სლავიაში რეაქციის სიმხეცით. ბალკანეთის წამების დიდი კამერებიდან გიგზავნით რევოლიუციონურ სალამს მთელი ქვეყნის პროლეტარიებს. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

**ბოლშევიკების ლეგალიზაციის წინააღმდეგ.**

„ფარბა შალს"-ში სკუენცკი აცხადებს, რომ პარტია ს.-დ. მენშევიკებისა ლეგანან ლატვიაში კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის წინააღმდეგ. ავტორი აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია შეუძლია მიგვიყვანოს საქართველოს ისტორიის განმეორებამდე, რადგან დემოკრატიზმის არსებობის დროს მცხოვრებთა უმცირესობას შეუძლია საფრთხეში ჩააგდოს დემოკრატიის არსებობა. ლატვიის ინტერესებისათვის თუ აუცილებელი იყო აკრძალვა ბერმონტის ორგანიზაციის ლეგალური მოღვაწეობის, ისევე საჭიროა კომუნისტური პარტიის აკრძალვაც...

**ლონდონი.**

4 აგვ. „რეიტერის" სააგენტო გვაცნობებს, რომ ბრიანმა წინადადება შეიტანა უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, შესახებ შეერთებული შტატების მოკავშირეებთან თანამშრომლობისა რუსეთის დაუყოვნებლივ დახმარებისათვის.

## მოწერილი ამბები.

**ცაგერის მაზრის ადმინისტრაციის დაუდევრობა.** ამა წლის მარტის პირველ რიცხვებში სამსახურიდან დაბრუნებული სამშობლოში მიემგზავრებოდა რაჭველი 4 ჯარის კაცი. სოფელ ოყურეშის განაპირას დაგვიხვდა ვიდაც უცნობი პიროვნება თოფით ხელში და უიარაღო ჯარის კაცებს სიკვდილის დამუქრებით გაგვაძრო თუმცა ზედა ტანზე და დაგვატოვებინა, რის შემდეგაც დახვრეტას გვემუქრებოდა, მაგრამ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ცოცხალი გაგვიშვა. ჩვენი თავ-გადასავალი ყველაფერი ვაუწყეთ ნაკურალეშის საზოგადოების რევკომის თავმჯდომარეს ინდიკო სვანიძეს, რომელმაც ტელეფონის საშუალებით იმ წამსვე აცნობა მაზრის რევკომის თავმჯდომარეს და ზომებიც მიიღო ყაჩაღის ნაძარცვის ამოსაჩენათ, საჩქაროთ გაგზავნა ოთხი შეიარაღებული მილიციონერი და ერთიც ჩემითანა მოგზაური ჯარის კაცი, რომლებმაც ახალი მოთოვლილის საშუალებით მალე მიაკვლიეს გამძარცველის სახლს, და აღმოაჩინეს სუყველაფერი უკლებლათ და მასთან ყაჩაღის თოფიც. მხოლოდ თვითონ ყაჩაღმა გაქცევით თავს უშველა. ეხლა მინდა მკითხველს გავაცნო ამ „პატიოსანი გმირის" ვინაობა, ის ბრძანდება ვასილ მუშკუდიანი სო[illegible] ოყურეშში მცხოვრები. როგორც [illegible] ამისთანა მავნე პირი დღეს თავისუფლად დათარეშობს და ადმინისტრაცია მას ყურადღებას არ აქცევს. ასეთი დაუდევრობა, ასეთი მავნე პირის თავისუფლათ გაშვება ვ. მუშკუდიანს და მის ამხანაგებს მისცემს დიდ საშუალებას რამოდენიმეჯერ კიდევ გაიმეორონ ზემოდ მოხსენებული ბოროტმოქმედებანი. საინტერესოა ვიცოდეთ რითი იმართლა ვასილ მუშკუდიანმა თავი და ან რა მოსაზრებით აპატივა მას ამისთანა საზიზღარი დანაშაული ცაგერის ადმინისტრაციამ.

გერასიმე კობახიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრებული და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა და ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1271